საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/500
2025 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„2020-2025 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/600 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„2020-2025 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/600 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2019, 300320000.22.024.016615) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/600 ბრძანების სათაური (სახელწოდება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2020-2026 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსების დამტკიცების შესახებ”.

2. მუხლი 1^5-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 1^6:

„მუხლი 1^6. დამტკიცდეს თანდართული „2026 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი“ 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.".

3. დაემატოს დანართი - „2026 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი“ ამ ბრძანებაზე თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი — **მარიამ ქვრივიშვილი**